საქართველოს მთავრობის

დადგენილება №287

2019 წლის 19 ივნისი

ქ. თბილისი

„სიმაღლეზე მუშაობის უსაფრთხოების მოთხოვნების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 27 ოქტომბრის №477 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „სიმაღლეზე მუშაობის უსაფრთხოების მოთხოვნების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 27 ოქტომბრის №477 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 30/10/2017, 300160070.10.003.020186) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული „ტექნიკური რეგლამენტის – სიმაღლეზე მუშაობის უსაფრთხოების მოთხოვნების შესახებ“:

1. მე-2 მუხლის პირველი პუნქტის შემდგომ დაემატოს შემდეგი შინაარსის 1^1 პუნქტი:

„1^1. იმ შემთხვევაში, თუ ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული მაკონტროლებელი ორგანოები ტექნიკური რეგლამენტის შესრულების კონტროლს ახდენენ ერთობლივად, შრომის/ტექნიკური/მშენებლობის უსაფრთხოების ინტეგრირებული მონიტორინგის ღონისძიებების ფარგლებში, ზედამხედველობა ხდება მხოლოდ ისეთი დარღვევებისთვის, რომლებიც შეიცავს მომეტებულ რისკს ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის. ზედამხედველობა უნდა განხორციელდეს შემდეგი წესით:

ა) სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანოები – აკონტროლებენ ტექნიკური რეგლამენტის მე-5 – მე-10 და მე-15 მუხლებით გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულებას;

ბ) საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტი – აკონტროლებს ტექნიკური რეგლამენტის მე-4 მუხლის პირველი–მე-4 პუნქტებით, მე-11–მე-14 და მე-16 მუხლებით გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულებას.“.

2. მე-3 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ე“ ქვეპუნქტი:

„ე) შრომის უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი – დამსაქმებლის მიერ დანიშნული/მიწვეული შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირი, რომელიც შრომის უსაფრთხოების ნორმების დარღვევის პრევენციის მიზნით უზრუნველყოფს შრომის უსაფრთხოების ღონისძიებების დანერგვასა და მართვას.“.

3. მე-4 მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. დამსაქმებელი ვალდებულია, გამოყოს შრომის უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი, რომელიც ობიექტზე სიმაღლეზე სამუშაოების განხორციელებისას დაიცავს ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნებს. შრომის უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი უნდა აკმაყოფილებდეს „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ - მინისტრი **მამუკა ბახტაძე**